ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 98-ა

27 ივლისი 2017 წელი

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტთა თანასწორობის, გენდერული თანასწორობის და მათი უფლებების დაცვის თაობაზე პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველო „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში გაფორმდა 2016 წლის 01 სექტემბრის N126 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი" ლაბორატორიებით აღჭურვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პერსონალის გადამზადებას, პროგრამების კურსდამთავრებულთათვის BTEG სერთიფიკატების გაცემას. ამ პროგრამის ფარგლებში მომუშავე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა თანასწორობის, გენდერული თანასწორობის და მათი უფლებების დაცვის თაობაზე პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი" წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტთა თანასწორობის, გენდერული თანასწორობის და მათი უფლებების დაცვის თაობაზე პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოიკრას კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
3. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის
,,სპექტრი'' დირექტორის 2017 წლის 27
ივლისი №-98-ბრძანების დანართი №1

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტთა თანასწორობის, გენდერული თანასწორობის და მათი უფლებების დაცვის თაობაზე პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“პროფესიული სტუდენტთა თანასწორობის, გენდერული თანასწორობის და მათი უფლებების დაცვის თაობაზე პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავების მიზანია პროფესიულ განათლებაში დემოკრატიული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, პროფესიულ სტუდენტთა უფლებების და თავისუფლების, პატივის და ღირსების დაცვა, სტუდენტთა თავისუფალის სიტყვის, აზრის პატივისცემა და ა.შ.

მუხლი 1.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა , კანის ფერისა , ენისა , სქესისა , რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. ორგანული კანონის ეს ნორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების სისტემაში და კოლეჯის მიზანია აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტით გაიწეროს პროფესიულ სტუდენტთა თანასწორობისკენ მიმართული წესები.

მუხლი 2.

დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. დაწესებულების პერსონალი, რომელიც ემსახურება დაწესებულების მისიის განხორციელებას, თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და ეთიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. იგი ვალდებულია თავისი პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, პატივი სცეს თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, ხელი შეუწყონ ერთმანეთს საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში, არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცყოფა, დამცირება, ცილის წამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

ბ) დაუშვებელია პერსონალისა და სტუდენტთა მხრიდან ყოველგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის: რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილების ან/დაშეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

გ) პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

დ) პერსონალის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა თავი უნდა შეიკავონ დაწესებულების ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

მუხლი 3.

კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა პროფესიულ განათლებაში:

ა) კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში;

ბ) კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) კოლეჯი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად პროფესიული სტუდენტის მშობელს;

დ) პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შეიმუშაოს და წარუდგინოს ადმინისტრაციას წინადადებები საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ე) სტუდენტების მიერ ჯგუფში ხდება ჯგუფ ხელების არჩევა, რომლებიც ახორციელებენ კოლეჯის ადმინისტრაციასა და დანარჩენ სტუდენტებს შორის ინფორმაციის მიწოდებას/გაცვლას;

ვ) განახორციელებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4.

1. კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სასწავლებლის წესდებითა მინიჭებული უფლებებით;
2. კოლეჯის ყველა პროფესიულმა სტუდენტმა და კოლეჯში დასაქმებულმა პირებმა საკუთარი უფლება - მოვალეობები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად;
3. კოლეჯში დასაქმებულები და პროფესიული სტუდენტები საკუთარი საქმიანობის წარმართვის დროს ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) პატიოსნება - სტუდენტები ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ეფექტურად. მათ არ უნდა განახორციელონ და მიიღონ მონაწილეობა იმ ტიპის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია სტუდენტების დისკრედიტაციისაკენ;

ბ) საჯაროობა - კოლეჯის მისიის, სტრუქტურის, საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო, ხოლო ორგანიზაციის მუშაობა გამჭვირვალე;

გ) პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის საქმიანობას როგორც კოლეჯში, ასევე, კოლეჯის გარეთ მესამე პირებთან ურთიერთობისას;

დ) თანასწორობა - სტუდენტები აკადემიურ პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით სხვა სტუდენტებთან მიმართებაში;

ე) ურთიერთთანამშრომლობა - კოლეჯი და პროფესიული სტუდენტები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების განვითარებას;

2. ამ მუხლში ჩამოთვლილი პრინციპების დაცვა ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მათ ჩართულობას კოლეჯის მართვის პროცესში.

მუხლი 5.

სტუდენტთა უფლებები:

ა) სამოქალაქო, კონსტიტუციური, სახელშეკრულებო და მომხმარებელთა უფლებები, რომლებიც არეგულირებენ სტუდენტების უფლებებსა და თავისუფლებას და სტუდენტებს აძლევენ საშუალებას გამოიყენონ მიღებული განათლება.

ბ) ამ უფლებებს განეკუთვნება ისეთი უფლებები, როგორიცაა სიტყვის/შეკრების თავისუფლება და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები, თანასწორობა, კერძო საკუთრების/სიცოცხლის უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა, ანგარიშვალდებულება კონტრაქტებსა და სარეკლამო კამპანიებში რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტებთან მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ურთიერთობის რეგულირების საკითხებთან.

მუხლი 6.

სტუდენტთა გენდერული თანასწორობა და კოლეჯის ხედვა:

ა) კოლეჯი იცავს - გენდერული იდენტობას, გენდერს განათლებაში, გენდერულ თანასწორობას.
ბ) კოლეჯი ხელს უწყობს დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობას სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდში და სტუდენტთა დასაქმების დროს.
გ) კოლეჯის მიზანია სტუდენტ ქალთა უფლებების დაცვა და მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო და საწარმოო მიმართულებებში.